ქართული ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ანალიზი, განვითარების პერსპექტივები პროტექციონიზმისა და თავისუფალი ბაზრის შემთხვევაში

ვალერი სულაბერიძე

წარდგენილია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მენეჯმენტში

ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს, ხოლო სხვა ავტორების მიერ შექმნილი მასალები არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ვალერი სულაბერიძე

26.05.2019

აბსტრაქტი

ქართული ადგილობრივი წარმოების განვითარება, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირების შემდეგ, ყველა ეტაპზე წარმოადგენდა სახელმწიფოსა და მმართველი ძალების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს, რადგან ადგილობრივი წარმოება ქმნის მეტ დოვლათს მთლიანი ეროვნული შემოსავლის სახით, რაც მშპ-სთან შედარებით, ბევრად სწრაფად ისახება ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობაზე. განვითარებული ადგილობრივი წარმოება ქმნის მეტ ეკონომიკურ სტაბილურობას: ეკონომიკა ხდება ნაკლებად მყიფე საგარეო ფაქტორების მიმართ, მცირდება უარყოფითი სავაჭრო სალდო და სტაბილურდება ისეთი ეკონომიკური პარამეტრები, როგორიცაა ინფლაცია და ეროვნული ვალუტის კურსი.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ინტერვენციისა, დღეს ადგილობრივი წარმოება, ძირითად მაინც მოიცავს აგრო სექტორს. აგრო სექტორი კი, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, სექტორების ჭრილში თუ შევხედავთ, 10%-ს არ აჭარბებს, დასაქმებულთა ჭრილში კი დასაქმებულთა 20 %-ს.

ჩემს სამაგისტრო ნაშრომში, ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე ფაქტორსა და საკითხზე:

- რამდენად კონკურენტუნარიანია ის სექტორები, რომლებშიც ამჟამად წარმოება ხორციელდება;
- განვიხილავ სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის მაჩვენებლებს, თუ რამდენად სწორად მიიმართება საბიუჯეტო რესურსები წარმოების გასავითარებლად;
- უნდა ერეოდეს თუ არა სახელმწიფო ადგილობრივი წარმოების განვითარებაში და საჭიროების შემთხვევაში უნდა იცავდეს თუ არა მას იმორტისგან;
- და ყველაზე მთავარი, ვეცდები გამოვკვეთო, წარმოებისას, სად და როდის იქნება სახელმწიფოს დახმარება ყველაზე ეფექტიანი და როლი აქვს ამ ყველაფერში ტექნოლოგიურ პროგრესის მხარდაჭერას.

ამისათვის, ანალიტიკური ნაშრომებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზთან ერთად, წარმოვადგენ კვლევას, რომლის მთავარი მიზანი იქნება მეწარმეებისგან მივიღო ინფორმაცია, რომლითაც ვაჩვენებ კონკრეტული სექტორის/სექტორების მთავარ გამოწვევებს, რაშიც სახელმწიფოს ჩარევა მეტი დოვლათის შექმნას შეუწყობდა ხელს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადგილობრივი წარმოება, თავისუფალი ბაზარი, პროტექციონიზმი

Abstract

The development of Georgian local production, after forming Georgia as an independent state, was one of the major priorities of the state and governing forces at all stages, as local production creates more wealth in the form of gross national income, that compared to the GDP, is much faster reflected in the welfare of the people living in the country.

Developed local production creates more economic stability: the economy becomes less fragile toward foreign factors, the negative trade balance decreases and stabilizes economic parameters, such as inflation and the national currency exchange rate.

Despite the active intervention by the state, local production is still important in agro sector. In the economies of developed countries, the agricultural sector, does not exceed 10% , if we look at it from the point of view of sectors, as for employed people – it does not exceed 20%.

In my master's work, I will focus on several factors and issues:

- how competitive the sectors involved in production are;
- I will review the efficiency indicators of state programs, how efficiently the budgetary resources are used for the development of production;
- whether the state should be involved in the development of local production and whether it is necessary to protect it against imports;
- and most importantly, I will try to find out where and when the state will be most effective during production and what is the role of supporting technological progress in all this?

In addition, together with analyzing analytical papers and statistical data, I will present a survey, whose main goal will be to get information from entrepreneurs to show the main challenges of the particular sector / sectors, in which the interference of the state would help create more wealth.

Key Words: local production, free market, protectionism

სარჩევი

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა N1. სახელმწიფო პროგრამის, „აწარმოე საქართველოშის“, გაცემული სუბსიდია..... 14

დიაგრამა N2. ბენეფიციარების მიერ მიღებული სუბსიდიები და გადახდილი გადასახადები 2014-2017 წლებში, „აწარმოე საქართველოში“..... 15

დიაგრამა N3. სუბსიდიები ინდუსტრიების ჭრილში. „აწარმოე საქართველოში“..... 15

დიაგრამა N4 . „აწარმოე საქართველოშის“ ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ ქვეყანაში, 2012-2017 წლებში..... 16

დიაგრამა N5. ბენეფიციარების შემოსავალი რეგიონების ჭრილში „აწარმოე საქართველოში“..... 17

დიაგრამა N6. დღგ რეგიონების მიხედვით, „აწარმოე საქართველოშის“ ბენეფიციარები 17

დიაგრამა N7. ბენეფიციარების პასუხი კონკურენციასთან დაკავშირებით, „აწარმოე საქართველოში“..... 18

დიაგრამა N8. ბენეფიციარების მოსაზრება იმპორტის ჩანაცვლებაზე, „აწარმოე საქართველოში“..... 19

დიაგრამა N9. პროგრამის, „აწარმოე საქართველოში“ ჩართული ბენეფიციარების კონკურენტული უპირატესობები..... 20

დიაგრამა N 10. დაფინანსებული სექტორები - „აწარმოე საქართველოში“ 21

დიაგრამა N11. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარების მიერ ჩატარებული კვლევები 22

დიაგრამა N12.თანამშრომელთა ოდენობის ზრდა (2014-2018) „აწარმოე საქართველოში“ 23

დიაგრამა N13. თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა, სექტორების მიხედვით, კომპანიების „აწარმოე საქართველოშის“ ჩართვის შემდეგ 24

დიაგრამა N14. ბენეფიციარების მიერ პროგრამაში მონაწილეობის პროცესის შეფასება 26

დიაგრამა N15. გამოკითხული ბენეფიციარი საწარმოები გამოცდილების მიხედვით 27

დიაგრამა N16. წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული მიწის ფართობის ზრდა.... 34

შესავალი 1

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა..... 4

უპირველესად იფიქრე მცირეზე - Think Small First 4

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020..... 5

სამართლებრივი სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჭრილში 5

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა..... 6

ადამიანური კაპიტალისა და სამეწარმეო უნარების განვითარება..... 7

ექსპორტის მიმართულებით ხელშეწყობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და ხარისხის მოთხოვნა/კონტროლი..... 8

კვლევა-განვითარებისა და ინოვაციების მხარდაჭერა 9

სტრატეგიის შეფასება: საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020 10

რეგულირების გავლენის შეფასება 12

BDO-ს ანგარიში სახელმწიფო პროექტის, „აწარმოე საქართველოშის“ შესახებ 14

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევა „აწარმოე საქართველოშის“ შესახებ..... 25

რეგიონული პერსპექტივები (კონრად ადენაურის ფონდის კვლევა)..... 28

მიწის რეგისტრაცია და (არა)მასშტაბური პრივატიზაცია 31

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ინფრასტრუქტურა..... 33

მასშტაბის ეკონომია და ტექნოლოგიური პროგრესი 35

ადგილობრივი წარმოების განვითარება და თავისუფალი ბაზარი 37

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა 40

მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევა ამავე სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით: კვლევის მეთოდოლოგია 42

მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევა ამავე სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით: კვლევის შედეგები და ინტერპრეტაცია 44

დასკვნა და რეკომენდაციები 47

ბიბლიოგრაფია 51

დანართები 54

კვლევის კითხვარი 54

კვლევის შედეგები (დიაგრამები) 56

შესავალი

ადგილობრივი წარმოება, როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტი, ქმნის დოვლათს, შესაბამისად მისი ზრდა უფრო მეტად პირდაპირ ისახება მოქალაქეთა კეთილდეობაზე, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტის. აქედან გამომდინარე ეკონომიკური ზრდისთვისა და მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის შექმნისათვის ადგილოვრივი წარმოება უმეტესწილად უალტერნატივო გამოსავალია. ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, საერთო ეკონომიკური დივერსიფიკაცია წარმოადგენს იმ მიზანს, რომლისკენაც მუდმივად ისწრაფვიან ქვეყნები, რათა ნაკლებად ან საერთოდ არ იყვნენ დამოკიდებული რიგი სახელმწიფოების მხრიდან ეკონომიკურ და პოლიტიკური გავლენებზე და არ ექცეოდნენ წნეხის ქვეშ.

თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობასთან ერთად და ამის მიუხედავად, განვითარებული ქვეყნები სახელმწიფოში ახორციელებენ გარკვეული სახის პროტექციონისტულ პოლიტიკას[1] ადგილობრივი წარმოების/სამუშაო ადგილების დასაცავად.

წნეხის ქვეშ მოქცევს არ მოაქვს მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური მარცხი: როდესაც სხვა ქვეყანა ახდენს ეკონომიკურ ექსპანსიას, შიდა წარმოება სუსტდება, კონკურენციას ვერ უძლებს და მოსახლეობის საშუალო ფენა ღარიბდება, ღარიბები კი ღატაკდებიან. აქედან გამომდინარე პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ქვეყნის მმართველი ძალების სოციალური პოლიტიკის ნაწილიცაა და ასეც უნდა იყოს.

ამის ნათელი მაგალითია ორი მაღალგანვითაებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა: ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია, რომლებიც ეკონომიკური ნაციონალიზმის დოქტრინით მე-19 საუკუნიდან ხელმძღვანელობენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ დოქტრინის ფუძემდებლად მიიჩნევა ალექსანდრე

[1] დე სენარკლენი, პიერ და იოან არიფენი, 2014. საერთაშორისო პოლიტიკა. მთარგმნ. ნ. ცქიტიშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

ჰამილტონი, რომელიც იყო ხაზინის პირველი მდივანი (ფინანსთა მინისტრი), რომელმაც შექმნა პირველი ამერიკული ბანკი. ჰამილტონი ლობირებდა პროტექციონისტულ პოლიტიკას, რათა ამერიკული წარმოება დაეცვა იაფი ინგლისური საქონლისგან, რასაც ინგლისში არსებული დაბალი ხელფასები განაპირობებდა.

ფრიდრიხ ლისტი, რომელიც გერმანიიდან აშშ-ში ემიგრირდა, იყო თეორეტიკოსი, ამავე ეკონომიკური თეორიისა. ის მიიჩნევდა: „თუკი სახელმწიფო კერძო პირთა ხელის არშეშლით დაკმაყოფილდება, საწარმოო ძალები არასდროს განვითარდება, რადგან ინდივიდთა ინტერესები არასროსაა გამიზნული საკუთარი კაპიტალის ინვესტირებისთვის იმ საქმეებში, რომელთაც გაცვლითი ღირებულება არ აქვთ“[2]. ასეცაა, - თუ ბაზრის თვითნებურ მოქმედებას მივემხრობით, მით უმეტეს განვითარებად ქვეყნებში, მხოლოდ იმედი შეიძლება გვქონდეს, რომ ქვეყანაში წარმოება თავისთავად განვითარდება.

ლისტის შეხედულებები დღევანდელობაშიც სრულიად რელევანტურია, - სახელმწიფომ ადგილობრივი წარმოების გასავითარებლად შემდეგი ქმედებები შეიძლება განახორციელოს: ფინანსური - მწარმოებლების სესხების სუბსიდირება ან/ფა სპეციალური პირობებით გაცემა; სატარიფო, - იმპორტის გადასახადი და საქონლის კვოტები და საკონტრაქტო, - პრივილეგიების მინიჭებს მწარმოებლებისთვის, - მონოპოლიზება.

ეს სამი ფაქტორი არახალია და ყველა სახელმწიფოსთვის ცნობილია, თუმცა საჭიროა მისი კონკრეტულ ეკონომიკაზე სხვადასხვაგვარად გამოყენება და არა კონკრეტულად და სწორხაზოვნად სამივე მექანიზმის. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დადებითი ეკონომიკური მოვლენაა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეს ხდება და გვაქვს[3] დადებითი და საშუალო დონის ეკონომიკური ზრდა, დოვლათის შექმნას ბევრი წელი სჭირდება, როცა ეს სიმდიდრე ადგილობრივი წარმოებიდან არ იქმნება.

[2] დე სენარკლენი, პიერ და იოან არიფენი, 2014. საერთაშორისო პოლიტიკა. მთარგმნ. ნ. ცქიტიშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. გვ. 78

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეროვნული შემოსავალი და სხვა აგრეგატები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/erovnuli%20Semosavali%20da%20sxva%20agregatebi.xlsx (11.04.2019)

ადგილობრივი წარმოების კონკრეტული პრობლემების ინდეტიფიცირებისათვის, პროირიტეტების განსასაზღვრად და გადასადგმელი ნაბიჯების დასაგეგმად, მივიჩნევ, რომ ერთ-ერთის საუკეთესო მეთოდია მწარმოებლებთან პირდაპირი კომუნიკაცია და მათგან მიღება უკუკავშირისა ეკონომიკურ რეფორმებსა თუ თავისუფალ სავაჭრო შეთანმებებზე, რაც ამ ნაშრომში, ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის მთავარი მიზანია.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

უპირველესად იფიქრე მცირეზე[4]

უპირველესად იფიქრე მცირეზე - ეს ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპია, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტიზაციას და ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილებისას მათი ინტერესის მკაფიოდ გატარებას.

ამ პრინციპის გასატარებლად საჭიროა განხორციელდეს და ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, რათა მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მშპ-ში გაიზარდოს და ეკონომიკა დივერსიფიცირდეს.

განვითარებად ქვეყნებში ეს პრინციპი მეტად უფრო სამართლიანია, რადგან ამ დროს ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ბიზნეს გარემო მაღალი რისკის მატარებელია, ეკონომიკის მუშაობა კი ძალიან ბევრ შიდა/გარე ფაქტორზე დამოკიდებული, (რაზეც გავლენას ვერ მოახდენენ) რის გამოც ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორებს ფულის ჩადება ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, ან/და ამ ბიზნესის შექმნაში რისკიან გადაწყვეტილებად მიაჩნიათ. ამ რისკების კომპენსირებისთვის უფრო მოქნილი კანონმდებლობის შექმნა ადგილობრივი წარმოებისთვის და მეტი საგადასახადო შეღავათები ზემოთაღწერილ დამაბრკოლებელ ფაქტორებს აბალანსებს და ინვესტორს მაღალი მოტივაცია ექნება ქვეყანაში, მცირე საწარმოებში ფულის ჩასადებად.

[4]European Union. Small Business Act for Europe. https://ec.europa.eu/growth/smes/business-friendly-environment/small-business-act_en. European Union.

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020

აღნიშნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გავნითარების სამინისტროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას თანამშრომლობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასთან მხარდაჭერით. სტრატეგია დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ, დადგენილების ფორმით, 2016 წლის 26 თებერვალს.

სტრატეგია მოიცავს 5 მთავარ მიმართულებას, ესენია:

- საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
- კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის, მეწარმეობის უნარების და სამეწარმეო კულტურის განვითარებ.
- მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია და ექსპორტის წახალისება.
- ინოვაციების და კვლევა-განვითარების მხარდაჭერა.

მიმოვიხილავ თითოეულ კომპონენტს, განხორცილებული ნაბიჯების შეფასებითა და შესაძლო რეკომენდაციების მითითებით.

სამართლებრივი სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჭრილში

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ - ეს კანონი წარმოადგენს ქართული ბიზნეს კანონმდებლობის ყველაზე სუსტ წერტილს. საქართველოში ბიზნესის

დახურვა რთულ საქმეს წარმოადგენს, რადგან პროცედურულად და სამართლებრივად დიდ დროს და სხვა რესურსებს მოითხოვს.

ამ კანონის შეცვლა/გაუმჯობესებაზე მიღებულია ბევრი რეკომენდაცია სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან. ამაზე ყურადღებას ამახვილებს, არის სიმეონ ჯანკოვისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიური ანგარიში - Doing Business-ის რეიტინგი, რომელიც ქვეყნებს აფასებს ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით. ერთ-ერთი შეფასების პარამეტრია გადახდისუუნარობის საქმის გადაწყვეტის ინდიკატორი, რომელშიც საქართველო სხვა კომპონენტებთან შედარებით ყველაზე სუსტ, მე-60 ადგილს იკავებს (საერთო ჯამში მე-6-ს. 2019 წლის რეპორტში)

მიუხედავად იმისა, რომ კანონის პროექტი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ მომზადებულია, რითაც წინა კანონმდებლობა გადახდისუუნარობის შესახებ, უნდა ჩანაცვლდეს, საპარლამენტო განხილვა არ მომხდარა და ჯერჯერობით (08.05.2019) მხოლოდ კანონპროექტად რჩება.

გარდა ამისა, სტრატეგიით განსაზღვრული იყო სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება, მისაწოდებელი სერვისების დიგიტალიზაცია. 50-მდე სერვისი უკვე ჩაშვებულია.

ეს სერვისებია: ყველა დაკავშირებული საწარმოზე წვდომა, მართვაში მონაწილეობა, მინდობილობებზე ხედვა, პირდაპირი კომუნიკაციის არხის შექმნა საჯარო უწყებებთან წერილების გაგზავნა ელექტრონულად), ციფრული ხელმოწერის და ციფრული შტამპის დანერგვა და ა.შ.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის გასაუმჯობესებლად ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ამავე სტრატეგიის ფარგლებში, მომავალშიც გეგმავს. მთავარი სტრატეგიული მიმართულებები შემდეგია:

- მეწარმეებისთვის, რომლებსაც მცირე და საშუალო ბიზნესი აქვთ, ჩატარდა ფინანსური განათლების გასაუმჯობესებელი ტრენინგები, მომზადდა სახელმძღვანელო[5] საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ამასთანავე სესხის კალკულატორის ფორმები ექსელის ფორმატში და სხვა დამხმარე დოკუმენტები.[6]
- ფონდების მოძიების თემატიკაზე ჩატარდა სტარტაპებისთვის ტრენინგი, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, სადაც მეწარმეებს გადასცეს შესაბამისი ინფორმაცია, კონკრეტული ფონდებისა თუ სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რისი დახმარებითაც, მონდომების შემთხვევაში შეძლებდნენ საკუთარი ბიზნეს-იდეისთვის სახსრების მოძიებას და შემდგომ ამ იდეის განხორციელებას.
- ფინანსური განათლებისა და ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდაციის მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი განხორციელებული ნაბიჯად IFRS-ის[7] საინფორმაციო ტრენინგი მიმაჩნია, რადგან ეს არამხოლოდ ფინანსების ეფექტიან მართვაში ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს, არამედ შემდგომში გამართული ფინანსური ანგარიშგებით, კომერციული ბანკის საშუალებით კრედიტის მარტივად წვდომასა და დაბალ საპროცენტო განაკვეთში აისახება.

ადამიანური კაპიტალისა და სამეწარმეო უნარების განვითარება

- საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე შრომის ბაზარზე განხორციელდა თვისობრივი კვლევა, რათა გამოკვეთილიყო საქართველოს შრომით ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები
- შეიქმნა კანონპროექტი, რომლითაც არაფორმალური განათლების აღიარება უნდა მოხდეს, აპლიკანტის მიერ სათანადო პირობების დაკმაყოფილების

[5] მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, https://www.nbg.gov.ge/uploads/fin_ganatl_mewarm/mikroda_mcire.pdf
[6] ფინანსური განათლება მეწარმეებისთვის https://www.nbg.gov.ge/index.php?m=706
[7] ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი

შემთხვევაში. ეს კანონ-პროექტი, ისევე როგორც ზემოთ აღწერილი სხვა რამდენიმე, ჯერაც რევიზიის პროცესშია და ხდება დროში გაწელვა მისი მიღების.

ექსპორტის მიმართულებით ხელშეწყობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და ხარისხის მოთხოვნა/კონტროლი

საქართველოს მთავრობის სტრატეგიიდან გამომდინარე, მეწარმეებს გაეცნოთ ინფორმაცია DCFTA-ს[8] პერსპექტივების შესახებ:

მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია სამ ძირითადი კომპონენტთან მიმართებით (სტანდარტები, მეტროლოგია,აკრედიტაცია) რომელიც ხარისხის ეროვნული ინფრქატრუქტურის ნაწილია.

2018 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით[9] საქართველოში დარეგისტრირებულია 1756 სტანდარტი. ეს მაჩვენებელი ძალიან მცირეა, თუმცა ამ ეტაპისთვის, როდესაც ხარისხის სტანდარტებზე ჯერ, პირველი ეტაპია და ახლა ხდება ინფორმაციის მიწოდება მეწარმეების უმეტესობისთვის, დამაკმაყოფილებელი.

სახელმწიფომ, როდესაც ის ხარისხის სტანდარტების შესახებ ინფორმაციას აწვდის ადგილობრივ მეწარმეებს, უნდა გაატაროს თანმიმდევრული პოლიტიკა: სახელმწიფომ უნდა შეწყვიტოს ფერმერების მიერ წარმოებული უხარისხო პროდუქტის სუბსიდირება, რათა ნათლად ჩანდეს, რომ ის წარმოების ზრდას ხარისხის ნიშნულის ქვემოთ დაწევის ხარჯზე არ აპირებს. ამის მაგალითს წარმოადგენდა დაზიანებული ყურძნის ჩაბარების პირდაპირი სუბსიდირება 2017 წლის ჩათვლით, რაც შეეხება ციტრუსებს, სუბსიდირება დღემდე გრძელდება და სახელმწიფო უხარისხო პროდუქტის წარმოებაში ხარჯს იღებს.

---

[8] შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ

[9] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. 2018, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy_annual_report_2018_geo_.pdf

ჩემი აზრით სახელმწიფოს მხრიდან, ეს პოლიტიკა პოპულისტური განზრახვის მქონეა და მიუხედავად კეთილი მიზნებისა, რომ ციტრუსების მწარმოებელ ფერმერებს შეღავათი გაუკეთოს, ახალისებს წარმოების ზრდას ხარისხის გარეშე, შესაბამისად სახელმწიფო დანახარჯების დამატებით ზრდას.

კვლევა-განვითარებისა და ინოვაციების მხარდაჭერა

თანამედროვე მსოფლიოში ბიზნეს-გარემო მუდმივად ცვლადია, საჭიროა ბიზნესის მხრიდან ინოვაციებისადმი სწრაფვა, რათა არ ჩამორჩეს პროგრესს და შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება არ ეხებოდეს ჩვენი ქვეყნის ადგილობრივ წარმოებას, ინოვაციები არ იყოს დიდად საჭირო აგრო წარმოებისთვის, თუმცა ეს ასე არაა. აგრო წარმოებაში ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ამცირებს სამუშაო ძალის ხარჯებს, მეწარმეს აძლევს საშუალებას იგივე ადამიანური კაპიტალით ბევრად დიდ მასშტაბებზე გავიდეს და რაც მთავარია, - შეამციროს დანახარჯები და გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი.

ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ ამ სტრატეგიაში გაწერილი ღონისძიებები მცირეა და მოიცავს რამდენიმე ტრენინგს ციფრული სამყაროს შესახებ, ასევე ინტერნეტიზაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას ლოკალურ და მცირე მასშტატებში. ეს ყველაფერი საკმარისი არაა, ვინაიდან ამჟამინდელი ადგილობრივი მეწარმეების უმეტესობა ასაკისა და მწირი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოცდილების გამო ტექნოლოგიურ პროგრესს ერთი ან რამდენიმე ტრენინგით ვერ დაეწევა. საჭიროა მეტი რესურსის დახარჯვა და კომპლექსური მიდგომები საკითხის მიმართ. კერძოდ, ტექნოლოგიების ათვისების ტრენინგებისა და სახელმძღვანელოების მცირე ნაწილებად დაყოფა და ფრაგმენტირებული და დაქუცმაცებული ინფორმაციის მიწოდება მათთვის, რათა გაიზარდოს შანსი ამ ინფორმაციის ათვისებისა/ტრენინგის ეფექტურობისა.

სტრატეგიის შეფასება:

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020

აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული მიმართულებები და დეტალურად ჩაშლილია კომპონენტები, რამაც უნდა უზრუნველყოს ერთიანი სტრატეგიის წარმატებულად მუშაობა. ამ ეტაპზე პროგრამის შედეგები დამაკმაყოფილებელია, მცირე და საშუალო საწარმოებთან მიმართებით:

- 2014-დან 2017 წლის ჩათვლით საწარმოებში გამოშვება იზრდებოდა 14.4%-ით (წლიურად).
- 2017 წელს დასაქმებული პირების ოდენობა გაიზარდა 27.4%-ით
- მწარმოებლურობა გაიზარდა 11.1%-ით (2017)[10]

სტრატეგიის შედეგები დამაკმაყოფილებელია, თუმცა შთამბეჭდავი არა, მით უმეტეს განვითარებადი ქვეყნისთვის, რომელსაც არც ისე მაღალი ეკონომიკური ზრდა აქვს. მთავარი გამოწვევები კვლავ საკანონმდებლო-ინსტიტუტურციური და ინფრასტრუქტურულია:

- იმ საკანონმდებლო აქტების პროექტების განხილვა/მიღება უკიდურესად ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც ამ სტრატეგიის განსახორციელებლადაა გაწერილი. ბიზნეს-პროცესების და კანონმდებლობის ოპტიმიზაციის ნელი ტემპი კი ხელს უშლის ადგილობრივი წარმოების მასშტაბურად ზრდას და მოლოდინის რეჟიმში რჩებიან ინვესტორებიც.
- ტექნოლოგიური პროგრესისთვის და ხარჯების ოპტიმიზაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მასზე ხელმისაწვდომობა: ავტობანები, რომლებიც შეამცირებდა ტვირთის გადატანის დროს/ხარჯებს, მშენებლობა ნელა მიმდინარეობს და წლიურად 20 კმ-ს ვეღარ აჭარბებს.

[10] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. 2018, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy_annual_report_2018_geo_.pdf

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა - რომელთა მშენებლობის დროში გაწელვა ავტომატურად ზრდის ფასს, რადგან იზრდება მოხმარება, შესაბამისად შესასყიდი ელექტროენერგიის ოდენობა და საშუალო ფასი. ინტერნეტიზაცია, რომელიც ნელი ტემპით მიმდინარეობს, იურიდიული პირებისთვის კი ოპერატორები მაღალ ტარიფებს აწესებენ, (მიუხედავად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შემცირებული[11] ტარიფებისა) რითაც საწყის ეტაპზევე უხშობენ ბიზნესს ელექტრონული კომერციისა და ინოვაციების ბიზნესში ინტეგრაციის მიმართულებით განვითარებაზე ფიქრს.

რეგულირების გავლენის შეფასება

[11] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, წლიური ანგარიში 2018, გვ. 16 http://gncc.ge/uploads/other/3/3706.pdf .საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სამთავრობო ძალების მიერ შემუშავებულ ყოველ ახალ დირექტივას თუ რეგულაციას განხორციელებამდე უნდა მიეცეს სათანადო შეფასება და ანალიზი, თუ რა გავლენას მოახდენს ეს საბოლოოდ მოქალაქეებზე, მოიტანს თუ არა სარგებელს ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკის ზრდისთვის. საქართველოში მსგავსი სისტემის დანერგვის მხარდასაჭერად და ზოგადი კონსულტაციის მიზნებისათვის, ბიზნესის სამართლის ეროვნული ცენტრის მიერ შეიქმნა რეგულირების გავლენის შეფასების პრაქტიკული სახელმძღვანელო[12]

დღესდღეობით ცენტრალურ ინსტრუმენტს, ხელისუფლების მიერ დაგეგმილსა თუ განხორციელებული პოლიტიკის შესაფასებლად გამოიყენება რეგულირების გავლენის შეფასება - RIA (Regulatory Impact Assessment). რეგულირების გავლენის შეფასება ხდება როგორც კანონპროექტებზე, რომლებიც შესაძლოა/უნდა განხორციელდეს, ასევე უკვე ძალაში შესულ კანონებსა თუ კანონქვემდებარე აქტებზე.

რეგულირების გავლენის შეფასების მთავარი სარგებელი ისაა, რომ წინასწარ ხდება შესაძლო შედეგების გაანალიზება, იმის განხილვა, თუ რა ხარჯებს/შეზღუდვებს უწესებს კანონი იმ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებზეც ვრცელდება და ფასდება, შედეგიანი იქნება თუ არა ეს ცვლილება.

ამ პროცესის მთავარი მიზანი არის ის, რომ პირველ რიგში, შეფასდეს, საჭიროა თუ არა საერთოდ ეს რეგულირება ხელისუფლების მხრიდან და უმჯობესი ხომ არაა, მთავრობის ჩარევისგან თავის შეკავება მოხდეს. ზოგჯერ რეგულირების ანალიზი და პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ნათელია, რომ რეგულირება ვერ მოახდენს სათანადო გავლენას და შესაძლოა პრობლემა გააღრმავოს.

[12] თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრი. რეგულირების გავლენის შეფასება (პრაქტიკული სახელმძღვანელო). თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართის ეროვნული ცენტრი. http://nccl.ge/m/u/ck/files/RIA%20GUIDELINE%20final(1).pdf

მთავარი კითხვები, რომლებზეც რეგულირების გავლენის შეფასებამ პასუხი უნდა გასცეს:

- რაში მდგომარეობს იმ პრობლემის არსი, რომლის რეგულირებაც უნდა მოხდეს და არის თუ არა საერთოდ ეს პრობლემა და რატომ
- რატომ უნდა დარეგულირდეს
- რა მიზანია დასახული, რომელსაც ამ რეგულირებამ უნდა მიაღწიოს
- პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატივები
- გავლენის შეფასება გარემოზე, ბიზნესსა თუ ეკონომიკაზე
- ალტერნატივების ანალიზით წარმოჩნდეს კონკრეტული ალტერნატივების უპირატესობა ან/და ნაკლი საერთაშორისო დირექტივებთან მიმართებით.
- როგორ მოხდება შემდგომი გაუმჯობესება პოლიტიკის ცვლილების ჭრილში და როგორ განხორციელდება მონიტორინგი

BDO-ს ანგარიში სახელმწიფო პროექტის, „აწარმოე საქართველოშის“ შესახებ

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 30 მაისიდან ადგილობრივი წარმოების გასავითარებლად სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო, რომელსაც დღემდე ახორციელებს. პროგრამის დაწყებიდან 2018 წლის III კვარტლის ჩათვლით დაფინანსდა 340 პროექტი (338 ბენეფიციარი). შპს ბიდიომ ამ სახელმწიფო პროგრამის შესახებ, მისივე დაკვეთით, მოამზადა ანალიტიკური ანგარიში, რომელზე დაყდნობითაცაა ჩემი შეფასებები მომზადებული/დაფუძნებული.

დაფინანსების უდიდესი ნაწილი გაცემულია (დიაგრამა N1) სესხის დაფინანსებაზე, მათ შორის საერთაშორის ბრენდის სასტუმროებზე, ტექნიკურ მხარდაჭერაზე მხოლოდ მცირე ნაწილი, ლიზინგზე კი, - არაარსებითი.

დიაგრამა N1. სახელმწიფო პროგრამის, „აწარმოე საქართველოშის“, გაცემული სუბსიდია



ბენეფიციარებზე 2014-2017 წლებში გაცემულია 17.6 მლნ ლარი სუბსიდიების სახით, გადასახადების სახით კი დაბრუნებულია 42.5 მლნ ლარი (გრაფიკი N2). ერთ შეხედვით, ეს 141%-იანი ზრდაა რაც დადებითად აისახა ქვეყნის ბიუჯეტზე, თუმცა, უცნობია, რამდენი შევიდოდა ბიუჯეტში ამ ბიზნესების სუბსიდირების გარეშე, რადგან ბენეფიციარების ნაწილი ისედაც არსებობდა ბაზარზე და გადასახადებსაც იხდიდა.

დიაგრამა N2. ბენეფიციარების მიერ მიღებული სუბსიდიები და გადახდილი გადასახადები 2014-2017 წლებში, „აწარმოე საქართველოში“

სუბსიდიები სხვადასხვა ინდუსტრიებზე გაიცა, თუმცა, წამყვანი სექტორები სამშენებლო მასალების წარმოება, საკვები და სასმელი და ქაღალდის და შეფუთვის წარმოებაა (დიაგრამა N3)

დიაგრამა N3. სუბსიდიები ინდუსტრიების ჭრილში. „აწარმოე საქართველოში“



ბიჯეტში გადასახადების შეტანასთან ერთად, სახელმწიფო პროგრამის და ზოგადად, ეკონომიკური აქტივობის ეფექტიანობის ინდიკატორი, მის მიერ შექმნილი

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და წილია, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში“, შედეგები მისაღებია და დადებით გავლენას ახდენს არამარტო ადგილობრივი წარმოების ზრდაზე, არამდე არსებითი შედეგი აქვს მშპ-ზეც. 2012-2017 წლებში „აწარმოე საქართველოშის“ ბენეფიციარებმა 534 მლნ აშშ დოლარი შექმნეს, წილი კი ეკონომიკაში 0.254%-დან 0.527%-მდე გაიზარდა (დიაგრამა N4), ზრდამ 107% შეადგინა.

დიაგრამა N4 . „აწარმოე საქართველოშის“ ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ ქვეყანაში, 2012-2017 წლებში



მისაღები შედეგების მიუხედავად, პროგრამა მხოლოდ ვიწრორეგიონულ კონტექსტში განვითარდა და უდიდესი ნაწილი (დიაგრამა N5) ბენეფიციარების შემოსავლისა იქმნება კვლავ თბილისში, დაბალია ჩართულობა რეგიონების მხრიდან, კახეთის აჭარისა და სამეგრელოს მხრიდან აქტივობა მკვეთრად დაბალია, სამცხე-ჯავახეთი კი საერთოდ არაა ჩართული პროგრამაში, პროგრამას არ ჰყავს ბენეფიციარი ზემოთაღნიშნული რეგიონიდან.

დიაგრამა N5. ბენეფიციარების შემოსავალი რეგიონების ჭრილში „აწარმოე საქართველოში“



იგივე მიმართებაა შექმნილ დღგ-სთან მიმართებით, (დიაგრამა N6) დღგ-ს 85% იქმნება თბილისში არსებული ბენეფიციარებისგან, სხვა რეგიონის, ცალკე აღებულის, 5%-ს არ სცდება.

დიაგრამა N6. დღგ რეგიონების მიხედვით, „აწარმოე საქართველოშის“ ბენეფიციარები



კონკურენცია ბიზნესის სფეროში ყველაზე მთავარი გამოწვევა, როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედი მოთამაშეების, ასევე იმპორტიორიების. „აწარმოე საქართველოშის“

მონაწილეების გამოკითხვით დგინდება, რომ მათთვის კონკურენტების გადანაწილება (დიაგრამა N7), შიდა და გარე ბიზნესების ჭრილში, თითქმის თანაბარია.

დიაგრამა N7. ბენეფიციარების პასუხი კონკურენციასთან დაკავშირებით, „აწარმოე საქართველოში“



ამის მიუხედავად, ადგილობრივი მოთამაშეებს უფრო მეტი მონაწილე მიიჩნევს, მათი ბიზნესის კონკურენტად. აშკარაა, რომ ბიზნესების უმეტესობა ტრადიციულ ბიზნესებს მისდევს, რომლებიც საქართველოშიც საკმაოდ განვითარებულია და ინოვაციურს, რაც აქამდე არ ყოფილა განვითარებული, არ ერთვება ან უფრო ნაკლებად, რისკის გამო. კვლევის მონაწილე ბიზნესები პოზიტიურად უყურებენ ექსპორტსა და უფრო მეტად, იმპორტის ჩანაცვლებას, (დიაგრამა N8) რითაც თუ უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი კლებას დაიწყებს, რომელიც მაღალი დეფიციტურობის[13] გამო ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მერყევი ფაქტორია ქვეყნის ყველა მცხოვრებზე, ეკონომიკურად პოზიტიურად აისახება.

[13] საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2017. საქართველოს ეროვნული ბანკი. https://www.nbg.gov.ge/uploads/bop/bop_2017_geo_publish.pdf

ჩანს, რომ კვლევის მონაწილეთა 2/3-ს იმპორტის ჩანაცვლება აქვს გადაწყვეტილი, შედეგს მოკლევადიან პერიოდში ვერ ვიხილავთ, თუმცა თუ მათი მიზნები გამართლდება, გრძელვადიან პერიოდში მსგავსი ტენდენციები საერთო მაკროეკონომიკურ მდგომარეობას მეტი სტაბილურობისკენ წაიყვანს.

დიაგრამა N8. ბენეფიციარების მოსაზრება იმპორტის ჩანაცვლებაზე, „აწარმოე საქართველოში“



აღნიშნული ვარაუდი ნაკლებად მყარი ხდება, როდესაც მეწარმეებთან BDO მათ კონკურენტულ უპირატესობებს (დიაგრამა N9) არკვევს (მათივე შეფასებით).

მათი პასუხებიდან ირკვევა, რომ სექტორების უმეტესობაში, ბიზნესების დიდი ნაწილი მათ კონკურენტულ უპირატესობად ხარისხსა და გამოცდილებას მიიჩნევს. ხარისხიანი პროდუქტის წარმოება ძალიან კარგია, თუმცა მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოებისას საჭიროა დიდი მასშტაბების ქონა, რათა მოხერხდეს თვითღირებულების ადეკვატურ დონეზე შენარჩუნება, რადგან მხოლოდ ხარისხი არაა პროდუქტის შეფასების ერთადერთი პარამეტრი. რაც შეეხება საფასო კონკურენციას, რასაც პირადად მე, მთავარ საბაზრო ძალად მივიჩნევ, ძალიან ცოტა ბიზნესი მიიჩნევს, რომ მის ნიშად დაჭერას აპირებს.

დიაგრამა N9. პროგრამის, „აწარმოე საქართველოში“ ჩართული ბენეფიციარების კონკურენტული უპირატესობები



რეალურად კი სექტორები, რომლებშიც ეს ბიზნესსუბიექტები საქმიანობენ (მათი თითქმის ნახევარი) ძალიან კონკურენტულია. ეს სექტორებია საკვების და სასმელის და სამშენებლო მასალების სექტორები (დიაგრამა N10) ამ ბაზრებზე მცირე და საშუალოსთან ერთად, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტით დაკავებული მსხვილი ბიზნესები მოღვაწეობენ, შესაბამისად მათთან არასაფასო კონკურენციის დაჭერა ნიშნავს, მცირე მასშტაბის ბიზნესის ქონას, რომელიც ვერ გამსხვილდება.

დაფინანსებული სექტორების ჭრილში ინოვაციურობის ხარისხი საკმაოდ დაბალია, დაფინანსებული სექტორებიდან მხოლოდ 12% საქმიანობს ფარმაცევტულ და ქიმიური წარმოების დარგში, 7% კი ელექტრონიკის წარმოებაში, სხვა ბენეფიციარები კი ტრადიციულ ბიზნეს დარგებს მიჰყვებიან.

დიაგრამა N 10. დაფინანსებული სექტორები - „აწარმოე საქართველოში“



ბენეფიციარებისთვის, ისევე როგორც სხვა ბიზნესმენებისთვის, ბაზრის კვლევა უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საქმიანობის დასაგეგმად. BDO-ს კვლევის ბენეფიციარიდან კი კვლევა მხოლოდ 17%-მა ჩაატარა (დიაგრამა N11) , უმეტესობამ კი საკუთარი რესურსებით.რაც შეეხება პროფესიონალურ ბაზრის კვლევას, ეს 6%-მა დაუკვეთა.

დიაგრამა N11. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარების მიერ ჩატარებული კვლევები





მათგან ვინც ბაზრის პროფესიონალური კვლევა დაუკვეთა, 1/3 სტარტაპს წარმოადგენს, შესაბამისად მათი კვლევითი დანახარჯები მწირია იმ ბიზნესებთან შედარებით, რომლებიც პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ საშუალებით გაფართოვდნენ. სტარტაპების საშუალო კვლევის დანახარჯზე 5.5-ჯერ მეტი დახარჯა საშუალოდ, ბიზნესმა, რომელიც გაფართოვდა. კვლევაშ არაა მოცემული იმ კომპანიების დანახარჯი, რომლებმაც თვითონ ჩაატარეს კვლევა, საკუთარი რესურსით, თუმცა მათი გაღებული რესურსი, დიდი ალბათობით, არაარსებითი იქნება.

დასაქმება ერთ-ერთია საქართველოს მოსახლეობის პრიორიტეტებსა და პრობლემებს შორის, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში აუცილებლად სამ ყველაზე დიდ გამოწვევად მიიჩნევა ქვეყნისთვის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, უმუშევრობა წლიდან წლამდე

მცირდება. ამ მაჩვენებელს ძალიან დაბალი სანდოობა აქვს, ამის მთავარი მიზეზი კი, მეთოდოლოგიაა[14], რითაც პირი დასაქმებულად მიიჩნევა.

„აწარმოე საქართველოშის“ ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი სამთავრობო პროგრამის მიზანი წარმოების ზრდასთან ერთად, დასაქმებული პირების ზრდაა (დიაგრამა N12) ერთ-ერთი შეფასების პარამეტრი მიღწეული შედეგის განსაზღვრისას.

დიაგრამა N12.თანამშრომელთა ოდენობის ზრდა (2014-2018) „აწარმოე საქართველოში“



დასაქმებული პირების ოდენობის ზრდა ძირითადად რამდენიმე სექტორში მოხდა: საკვების და სასმელის სექტორში 998 ადამიანით, რაც სრული ზრდის თითქმის 1/3-ია, შინაური ცხოველების პროდუქციის წარმოებაში 471 ადამიანით - სრული ოდენობის 15,5%-ით. სამშენებლო მასალების ინდუსტრიაში კი თანამშრომლების ოდენობის მატებამ 440 შეადგინა, სრული ოდენობის 14,5%.

[14] დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ შინამეურნეობის სხვა წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

დიაგრამა N13. თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა, სექტორების მიხედვით, კომპანიების „აწარმოე საქართველოშის“ ჩართვის შემდეგ



საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევა „აწარმოე საქართველოშის“ შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ ჩაატარა კვლევა [15] ზემოთაღნიშნული სახელმწიფო პროგრამის შესახებ, თუმცა, გამოიკვეთა, რომ ჩართულობის ხარისხი და სანდოობის მაჩვენებელი,BDO-ს კვლევასთან შედარებით, დაბალია. ამას განაპირობებს მეწარმეების მხრიდან დაბალი ჩართულობა, ამ კვლევაში ბენეფიციარი მეწარმეების 23%-მა მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ფინანსური ინფორმაციის მიღება კი მკვლევრებისთვის რთული იყო, მონაცემები კი არასანდო.

ზოგადად, სახელმწიფოს მხრიდან ჩართულობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის გაცემა არ აზარალებს მეწარმეებს, ეს სახელმწიფოს მხრიდან მკაფიო მოთხოვნის გარეშე, არ სურთ. კერძო მკვლევრებისთვის მათი ინფორმაცია დახურულია. საბოლოო ჯამში ეს განაპირობებს იმას, რომ მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული კვლევებია ამ საკითხებზე რეპრეზენტარული, რადგან სათანადო მასშტაბის ჩართულობა და ფინანსურ ინფორმაციას, მარტივად იღებენ. ეს დიდ ძალაუფლებას აძლევს სახელმწიფოს, შედეგების ინტერპრეტაციისთვის და ხელს უშლის სახელმწიფო პროგრამების მიერ მიღწეული რეზულტატების სათანადო, გამჭვირვალე შეფასებას.

აღნიშნული კვლევის შედეგი და ძირითადი აქცენტები BDO-ს კვლევის მსგავსია პროგრამის შედეგებთან მიმართებით, თუმცა არის განსხვავებული საკვლევი საკითხებიც. ერთ-ერთია პროგრამაში ბენეფიციარების მიერ პროგრამაში მონაწილეობის პროცესის შეფასება (დიაგრამა N14) , სადაც ისინი აფასებდნენ როგორც სააგენტოსთან კომუნიკაციის ხარისხს, ასევე კომერციულ ბანკებთან კომუნიკაციას და პროგრამის ეფექტიანობის ხარისხს დროსთან მიმართებით.

დიაგრამა N14. ბენეფიციარების მიერ პროგრამაში მონაწილეობის პროცესის შეფასება

[15] საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული წახალისების კომპონენტის შეფასების ანგარიში. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.
http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1606090634585baa.pdf



ბენეფიციარების პასუხებმა[16] ნათლად გვაჩვენეს , რომ მათი განწყობები პროგრამის და ზოგადად, პროცესის მიმართ ძალიან დადებითია. თითქმის ყველა კომპონენტის მიმართ სრულად დაბითი განწყობაა, გარდა კომერციულ ბანკებთან ურთიერთობისა, რომელიც, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირების გამო, როგორც ჩანს მათთვის სესხის დამტკიცებას ბიუროკრატიულად უდგებოდა.

კიდევ ერთი დეტალური დეტალური ანალიზი, რაც საქართველოს ახალგაზრდთა ეკონომისტთა ასოციაციამ გააკეთა, ესაა მეწარმე კომპანიების არა უბრალოდ, 2 ჯგუფად დაყოდა, სტარტაპის და გამოცდილების მქონედ, არამედ, საქმიანობის წლების[17] მიხედვით დააჯგუფა კომპანიები.

დიაგრამა N15-ში ჩანს, რომ მონაწილეთა გამოცდილება სხვადასხვაა და მათ შორის არიან 5-10 და მეტი წლის გამოცდილების მქონე კომპანიები, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა დასჭირდათ. ეს მიუთითებს, რომ არასტაბილური

[16] საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული წახალისების კომპონენტის შეფასების ანგარიში. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1606090634585baa.pdf გვ.19

[17] საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული წახალისების კომპონენტის შეფასების ანგარიში. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1606090634585baa.pdf გვ.20

ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს გამო, განვითარებულ ბიზნესსაც უჭირს განვითარება, სუბსიდირების გარეშე

დიაგრამა N15. გამოკითხული ბენეფიციარი საწარმოები გამოცდილების მიხედვით



რეგიონული პერსპექტივები (კონრად ადენაურის ფონდის კვლევა)

კონკრეტული სახელმწიფო პროგრამის გარდა, საჭიროა საკითხის მიდგომა უფრო კომპლექსურად და რეგიონულ ჭრილში განვითარების წახალისება, მათ შორის თვითმმართველ ერთეულებზე რეკომენდაციების/დირექტივების გაცემით.

რეგიონულ პერსპექტივებსა და სექტორებს ქვემოთ მიმოვიხილავ, რომელიც ეყრდნობა კონრად ადენაუერის ფონის მხარდაჭერით შექმნილ ანგარიშს, - „ მცირე სა საშუალო ბიზნესი რეგიონალური განვითარების პერსპექტივები“.[18] ანგარიშში განხილულია კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ადგილობრივი წარმოების განვითარების შესაძლებლობები.

კახეთი

- ქართული თაფლის წარმოება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში
- მცირე და საშულო ზომის სასტუმროები თელავში
- მეცხოველეობის დარგი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში
- სოფლის ტიპის სასტუმროები სიღნაღში
- რძის გადამამუშავებელი საწარმოები კახეთში

კონრად ადენაუერის ფონდის კვლევაში მოცემული 5 მკაფიო პრიორიტეტული მიმართულება კახეთის რეგიონზე, სადაც შესაძლებელია ინვესტიციის ჩადება და ბიზნესის განვითარება, „აწარმოე საქართველოში“ პროექტში კი კახეთი პრაქტიკულად არ მონაწილეობს. სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს, კონკრეტული დარგები შესთავაზოს მეწარმეებს, ვინაიდან მათი მხრიდან ინიციატივები დაბალია პერსპექტივები კი მყარი და სათანადო მასშტაბის.

[18] • კონრად ადენაუერის ფონდი, მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. http://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/DCFTA%20for%20SMEs_web-min.pdf

სამეგრელო-ზემო სვანეთი

- ლურჯი მოცვის გაშენების შესაძლებლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში
- სათავგადასავლო ტურიზმის პერსპექტივა წალენჯიხაში
- შენობების პრივატიზებით ბიზნესის სტიმულირება სენაკში
- ხობის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პრობლემა
- აგროტურიზმი ანაკლიასა და განმუხურში
- სენაკში ადგილობრივი ყველის მწარმოებლების ინფორმირებულობა და შესაბამისობა თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების შესახებ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მიუხედავად ზემოთაღწერილი და ბევრი სხვა პერსპექტივისა, სამეწარმეო აქტივობა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება არასახარბიელო. მოსახლეობის დიდი ნაწილი დაზარალდა ფაროსანას მასშტაბური გავრცელების გამო, ხელისუფლების მიღებული ზომები კი გვიან აისახა და შეჩერების პროცესი იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ ნარგავების/ნათესების დიდი ნაწილი განადგურდა. მოსახელობის დიდი ნაწილი ახორციელებდა თხილის მოყვანა/რეალიზაციას, ზემოთაღნიშნული პროცესის გამო კი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო პრაქტიკულად განადგურდა. ამ და შემდეგ ეტაპებზე საჭიროა სახელმწიფოს ჩართულობა ფაროსანასთან ბრძოლის პარალელურად რეგიონში სამეწარმეო აქტივობის გამოსაცოცხლებლად.

იმერეთი

- თიხის ნაკეთობების წარმოება-რეწვის განვითარება
- იმერეთში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების

- იმერეთის მუზეუმების ტურისტული პოტენციალი
- სათავგადასავლო ტურიზმი იმერეთის რეგიონში

იმერეთის ტურისტულ პოტენციალს ამჟამად აქტიურად უწევს მხარდაჭერას ქუთაისის საერთაშორისო აერპორტის ამოქმედება და მგზავრთბრუნვის მუდმივი, მაღალი ზრდის ტენდენცია. არის უარყოფითი ფაქტორიც, ქუთაისმა საპარლამენტო ქალაქის სტატუსი დაკარგა, რამაც მოტივირებული სამეწარმეო საქმიანობა გარკვეულ დონეზე შეანელა. ბათუმის ზრდის ფონზე, მეორე ქალაქის სტატუსიც აღარ აქვს ქალაქ ქუთაისს. ამ ყველაფრის ფონზე, საჭიროა დამატებითი სუბსიდირება კონკრეტულ რეგიონზე, რადგან ამ ეტაპზე აქ ნახევარ მილიონზე მეტი მოსახლე ცხოვრობს, იციატივების მიმართ ღიაობა კი, საკმარისი მხარდაჭერის ფონზე, ჩემი აზრით, მაღალი იქნება.

გარდა ამ სამი რეგიონისა, კონრად ადენაუერის ფონდის კვლევაში გაცემულია რეკომენდაციები შიდა და ქვემო ქართლთან დაკავშირებით, რომლის დეტალურ ჩაშლაზე ამ ეტაპზე არ დავკონკრეტდები, რადგან ამ რეგიონებიდან სახელმწიფო პროექტებში ჩართულობა და მეწარმეების ინფორმირებულობის ხარისხი საკმაოდ მაღალია.

მიწის რეგისტრაცია და (არა)მასშტაბური პრივატიზაცია

ვინაიდან საქართველოში წარმოების წამყვან მიმართულებად კვლავ აგრო სექტორი რჩება და ამავე დროს ამ სექტორში ბევრი ადამიანია დასაქმებული, კერძო საკუთრების უფლების აღიარების გამარტივება მთავარ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დღეისათვის დარეგისტრირებულია მიწების მხოლოდ 25%-ია დარეგისტრირებული, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. მიუხედავად სახელმწიფო პროგრამისა, რომლითაც ის საჯარო რეესტრის მიერ გასაწევ ხარჯებს სრულად ანაზღაურებს, მიწის რეგისტრაციის პროცესის ტემპი დაბალია. ამას განაპირობებს ხანგრძლივი პროცედურა არქივში ცნობების მოძიებისა, საკომლო ჩანაწერების არქონის ან/და რეალური მესაკუთრის საკომლო ჩანაწერის არყოფნის შემთხვევაში სასამართლო პროცესის საჭიროება, საჭიროებისდა მიუხედავად და ა.შ.

ამ პროცესში საარქივო სერვისების დაჩქარება მთავარი გამოწვევაა, რითაც საკუთრებაში დარეგისტრირების პროცესი მკვეთრად შემცირდება, თუმცა კომპლექსურად, პროცესის საერთო ჭრილში ოპტიმიზაციის ცდაც, ურიგო არ იქნება.

სახელმწიფომ დოკუმენტების გარეშე, შესაბამის ფასად უნდა დაურეგისტრიროს მიწა იმ პირებს, ვინც წლებია ამუშევებს კონკრეტულ მიწას, თუ სხვა მფლობელი არ არსებობს.

უნდა განისაზღვროს გამონაკლისი შემთხვევები, რა დროსაც შეუძლია სახელმწიფოს საკუთარი ქონების ფლობა, დანარჩენი კი მასშტაბური პრივატიზაციის პროცესის სახით უნდა გაიყიდოს მსურველ პირებზე, რადგან სახელმწიფოს არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

იგივე ეხება 300-მეტრიან სასაზღვრო ზოლში მდებარე მიწების იჯარებს, რომლებზეც სახელმწიფო არ არეგისტრირებს საკუთრების უფლებას, შეჩერებული აქვს პროცესი, ამავე ზოლში კი სხვა პირებს სხვადასხვა დროს, ნაკვეთები აქვთ კერძო საკუთრებაში, შესაბამისად რიგი პირები იჩაგრებიან და ხელი ეშლებათ სახელმწიფოს მხრიდან აგრო ბიზნესის განვითარებაში.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ამ პროცესის გამარტივების ნაცვლად, უმეტესად კვლავ მუნიციპალიტეტის ერთეულზე არეგისტრირებენ და ტოვებენ ნაკვეთებს, მუნიციპალიტეტის დონეზე კი ამ უფლების დელეგირება ამ ეტაპზე არაა პრივატიზების პროგრესის მომტანი და მხოლოდ კორუფციის რისკს აჩენს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ინფრასტრუქტურა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ინფრასტრუქტურას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი აგრო წარმოებისთვის. მოსავლის მაქსიმიზაციისთვის მიწის ნაკვეთებზე მნიშვნელოვანია სარწყავი არხების გაყვანა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება როგორც ნიადაგის მორწყვა - ირიგაცია,[19] ასევე დრენაჟი[20] - ეს ყველაფერი საჭიროა ფერმერების ინვესტიციის მაღალშედეგიანობისთვის, განსაკუთრებით ეს ეხება მარცვლეული კულტურების მოყვანას, სადაც შედეგი დამოკიდებულია ნათესებისთვის საკმარისი ოდენობის წყლით უზრუნველყოფაზე.

2012 წლის შემდეგ ამ მიმართლებით აქტიური ნაბიჯები გადაიდგა და 2018 წლის მდგომარეობით წყლით უზრუნველყოფილია 127 000 ჰექტარი (დიაგრამა N16), ასეთი ფართობების ზრდამ შეადგინა 182% და დრენირებულია 38000 ჰა, ამ შემთხვევაში კი ზრდა 171 %-ს შეადგენს.

მიუხედავად შთამბეჭდავი შედეგისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზრდის მაღალი ტენდენცია ბოლო წლებში შენელებულია და საჭიროებს მეტად აქტიურ ზრდას, ამ მიმართულებით საჭიროა მიიმართოს მეტი საბიუჯეტო რესურსი, მოხდეს თანხების მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დიაგრამა N16-ზე ვხედავთ ტენდენციას, როგორ იზრდებოდა სწრაფი ტემპით წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული ნაკვეთების ოდენობა, ბოლო წლებში კი ეს ტემპი, მართლაც რომ ძალიან დაბალია.

---

[19] ირიგაცია L. irrigatio 1. მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=17053, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

[20] დრენაჟი Fr. drainage 1. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობა (დაწრეტა) თხრილების, არხების ან მიწისქვეშა მილების სისტემის საშუალებით; ასეთი თხრილების, არხების, მილების სისტემა. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=11979, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

დიაგრამა N16. წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული მიწის ფართობის ზრდა



სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმართულება, მიუხედავად სახელმწიფოს გარკვეული აქტივობებისა, სავალალო მდგომარეობაშია. კონრად ადენაუერის ფონდის კვლევის მიხედვით, რომელზეც ამ ნაშრომში ყურადღება უკვე გავამახვილეთ, ხობის მუნიციპალიტეტში, მაგალითად სრულად გამართული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 22,8%-ია, 29,5% ექვემდებარება აღდგენას, ხოლო 47,5% მწყობრიდან გამოსულია და არ ექვემდებარება აღდგენას. ამავე მუნიციპალიტეტში მუშავდება სახნავ-სათესი მიწების მხოლოდ 57,8%. ამ შედეგების რეპრეზენტატულობას ქვეყნის მასშტაბზე პირდაპირ ვერ გავავრცელებთ, თუმცა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რამხელა სამუშაო აქვს განსახორციელებელი სახელმწიფოს ამ მიმართულებით: ეს შეიძლება იყოს ამ ტექნიკის შემოყვანა/განბაჟება/აქციზზე შეღავათები, დიდი ტენდერით სახელმწიფოს მიერ ტრაქტორების და სხვა ტექნიკის შეძენა და შემდეგ დაბალ ფასში ფერმერებზე რეალიზაცია და ა.შ,

მასშტაბის ეკონომია და ტექნოლოგიური პროგრესი

თანამედროვე მსოფლიოში და მით უმეტეს განვითარებად, ღარიბ ქვეყნებში პროდუქტის ხარისხთან ერთად ფასი ძალიან მნიშვნელოვანი პარამეტრია. შეიძლება მეწარმემ შექმნას და აწარმოოს მაღალი ხარისხის პროდუქტი, თუმცა მას ჰქონდეს ისეთი მაღალი თვითღირებულება, რომ ვერ უწევდეს სხვა პროდუქტებს საფასო კონკურენციას. მსგავსი მიმართებაა საქართველოში ნატურალური წვენების წარმოებასთან მიმართები: გვყავს ქართველი მეწარმეები, რომლებიც ქმნიან მაღალხარისხიან პროდუქტს, თუმცა ამ პროდუქტის ფასი საკმაოდ მაღალია ადგილობრივი ბაზრისთვის, შესაბამისად ბაზარზე მათი წილი კონკრეტულ სექტორში, მცირეა. იმისათვის, რომ თვითღირებულება შემცირდეს საჭიროა ბიზნესი ფუნქციონირებდეს მასშტაბიის ეკონომიის პრინციპით: ეს გულისხმობს რომ განვითარებად, პატარა ქვეყნებში ბიზნესი არ უნდა ცდილობდეს მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრებას და ექსპორტისკენაც ჰქონდეს გეზი აღებული, რადგან მხოლოდ შიდა ბაზარზე ყოფნით ვერ მიაღწევს იმ მასშტაბის გაყიდვებს, რომ მასშტაბის ეკონომიის პრინციპით თვითღირებულება და შემდგომ სარეალიზაციო ფასი შეამციროს. ამის გარანტი მხოლოდ საერთაშორის ვაჭრობაა[21]

ტექნოლოგიური პროგრესი მასშტაბის ეკონომიაში, 21-ე საუკუნეში გადამწყვეტ როლს თამაშობს: თუკი ტექნოლოგიურად ავითარებ ბიზნესს, ამცირებ ფიქსირებულ დანახარჯებს და საბოლოოდ ხარჯების ოპტიმიზაციას აღწევ, რაც აისახება წარმოებული პროდუქტის თვითღირებულებაში, გეძლევა მეტი შანსი საფასო კონკურენციის და მასშტაბურ წარმოებაზე გადასვლის.

ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვაში სახელმწიფოს როლი განვითარებად ქვეყნებში გადამწყვეტია, რადგან მცირე მეწარმეებს და ფერმერებს უჭირთ დიდი ინვესტიციების განხორციელება და ინიციატივის გამოჩენა, რაშიც მათ მხარდაჭერა სახელმწიფომ უნდა გაუწიოს.

[21] Ethier, Wilfred. 2014. Floating World, The: Issues In International Trade Theory. World Scientific Studies in International Economics. Singapore: World Scientific. http://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=nlebk&AN=787891&site=ehost-live.

როგორც ნაშრომში „ავსტრალიის სოფლის მეურნეობის როლი პლანეტის გამოკვებაში“[22] აღწერილია, შესაძლებელია 2050 წლამდე მოხდეს სურსათზე ფასების მასშტაბური ზრდა, ამ დროს კი მწარმოებლებლად და ექსპორტიორად მხოლოდ დიდი მასშტაბის ეკონომიის მქონე ქვეყნები დარჩებიან, რომლებიც ამ ეტაპზე ავსტრალია, ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია და კანადა არიან.

მაგ დროისთვის წარმოების უდიდესი ნაწილი გენმოდიფიცირებულ საკვებ პროდუქტებზე იქნება აწყობილი, რაც საქართველომაც დროულად უნდა აითვისოს, რადგან ბიო და არაგენმოდიფიცერებული პროდუქტები მაღალი თვითღირებულებისაა და მაღალშემოსავლიან მომხმარებელთა დიდ ბაზარს საჭიროებს გასაღებისთვის.

ადგილობრივი წარმოების განვითარება და თავისუფალი ბაზარი

[22] • Hundloe, T. J. A., Commonwealth Scientific and Industrial Research Organization (Australia), Sarah Blagrove, and Hannah Ditton. 2016. Australia's Role in Feeding the World : The Future of Australian Agriculture. Clayton South, VIC: CSIRO PUBLISHING. http://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=nlebk&AN=1290499&site=ehost-live.

თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში ადგილობრივ წარმოებას აქვს იმდენივე პრივილეგია, როგორც იმპორტს. მეწარმეები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მართავენ ბიზნესს, საბოლოოდ კი საყოველთაო კეთილდღეობა მიიღწევა. ამ მოვლენას ადამ სმითმა „ბაზრის უხილავი ხელი“ უწოდა[23], ეს თეორია დღემდე აქტუალურია ლიბერტარიანელები და თავისუფალი ბაზრის ანარქისტები მას სწრაფი ეკონომიკური განვითარების განმაპირობებლად მიიჩნევენ. იმ ქვეყნების მაგალითებში, კი რომლებიც ამ პრინციპით განვითარდნენ, სინგაპური პირველ ადგილს იკავებს.

სინგაპურის ეკონომიკური სასწაული სავაჭრო ბარიერების მოხსნამ, მეწარმეთათვის და ინვესტორთათვის კი მაქსიმალურად რბილმა საგადასახადო რეჟიმმა და რეგულაციების სიმცირემ გამოიწვია.

ლი კუან იუ, რომელიც სინგაპურის პირველი პრემიერ-მინისტრი იყო 1959-1990 წლებში, მთავარი ეკონომიკური რეფორმატორის ფუნქციას ითავსებდა. 1959 წელს, როდესაც მმართველობა დაიწყო სინგაპური მთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 427 აშშ დოლარი (მიმდინარე ფასებში) იყო, 1990 წელს როდესაც ის პოსტიდან გადადგა, ეს მაჩვენებლი 11864 აშშ დოლარს (მიმდინარე ფასებში) შეადგენდა. მესამე სამყაროს ქვეყნიდან სინგაპურმა სამ ათწლეულზე ცოტა მეტ ხანში პირველი სამყაროს ქვეყნებში გადაინაცვლა, რადგან 31 წელში, 27-ჯერ გამდიდრდა.

მიუხედავად იმისა, რომ სინგაპური კარგი მაგალითია და ერთი შეხედვით, მარტივი გამოსავალი ქვეყნის გასავითარებლად, სხვისი მაგალითის გადმოღება პირდაპირ, არასდროს არ მუშაობს. სინგაპური წარმოადგენდა ავტოკრატიულ სახელმწიფოს და დღესაც ასეა, რომლის რეფორმებმა, იქ და იმ დროს იმუშავა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საგადასახადო რეჟიმი სხვა ქვეყნებმა სცადეს, სინგაპური მოდელმა იქ არ იმუშავა, ან მხოლოდ მცირე მასშტაბებით.

- [23]სმითი, ადამ, 2014. *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II.* მთარგმნ. ფ. გოგიჩაიშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

სრულიად თავისუფალი ბაზარი, ჩემი აზრით, დიდი რისკების მატარებელია განვითარებადი ქვეყნისთვის, რადგან სწორხაზოვნად დერეგულირებამ შესაძლოა სხვა ქვეყნის მიერ ეკონომიკური ექსპანსია მოახდინოს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ისეთ დიდ ქვეყნებთან, როგორიცაა ჩინეთი, (ხელშეკრულებაში გაწერილია ფართო წარმოების პროდუქტებზე თავისუფალი ვაჭრობა[24]), რომელიც ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია, ადგილობრივ წარმოებას დიდ დაბრკოლებებს უქმნის. საქართველოს დღეს აქვს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები ევროკავშირსა და ჩინეთთან, თუმცა, ამით დიდად ვერ ხეირობს ადგილობრივი წარმოება.

ამის მიზეზია, ის რომ, ადგილობრივი წარმოება ვერ უძლებს უდიდეს კონკურენციის წნეხს, რომელიც იმპორტის მხრიდან მოდის და ვერ ვითარდება. აგრო წარმოება წნეხს ხარისხის ფონზე უძლებს, სხვა ტიპის წარმოებები კი ძალიან რთულად ახერხებენ ბაზარზე ყოფნას/გადარჩენას. ქვეყნებს და კომპანიებს, რომლებიც საქართველოში იმპორტს ახდენენ, ახასიათებთ დიდი მასშტაბის ეკონომია. მათ წარმოებულ საქონელზე აქვთ ძალიან დაბალი თვითღირებულება, რითაც ადგილობრივი წარმოება რჩება უძლური, თუ სახელმწიფო კვოტებს ან იმპორტის გადასახადს არ დააწესებს. დღესდღეობით მოქმედებს იმპორტის 12%-იანი გადასახადი, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. თუმცა თურქეთს, რომელსაც სოფლის მეურნება მისი მასშტაბებიდან გამომდინარე ბევრად განვითარებული აქვს, შეუძლია და ახდენს დაბალი ფასით პოზიციონირებას.

დაბალი ფასით შემოსული თურქული ბოსტნეული და სხვა აგროპროდუქტები, ახდენენ ქართულ ბაზარზე პროდუქტის ფასის დაცემას, რითაც ადგილობრივები, რომლებიც უფრო ხარისხიან პროდუქტს უფრო მაღალი დანახარჯით აწარმოებენ, არიან წაგებულები, უწევთ რეალიზაცია დაბალი ფასნამატით ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად. თუ თავისუფალი ბაზრის პრინციპით შევხედავთ ამ საკითხს, იჩაგრება

[24] საქართველოს მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/tavisufali_vachrobis_shetanxmeba_georgia_china/shetankhmeba_2018/1_china_georgia_fta_geo.pdf

იმპორტიორი, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ქვეყნის კონტექსტი: სამუშაო ძალის 39,1%[25], 2017 წლის მდგომარეობით დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, რადგან სხვა ალტერნატივა ქვეყანაში ამ ეტაპზე ეკონომიკური მდგომარეობის გამო არ არსებობს. ამ გარემობებიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობა არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური გარემოებაცაა, შესაბამისად პროტექციონიზმი ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, სავსებით მისაღებია და პირიქით, უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს.

თავისუფალი ბაზრის უალტერნატივობის საწინააღმდეგოდ სუპერსახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითიც საკმარისია: 70-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებული შტატები ბევრი ტიპის საქონელზე საკმაოდ მაღალ მოსაკრებლებს და გადასახადებს აწესებს, თუმცა, ეკონომიკური ზრდა, ამის გამო არ შეჩერებულა და ბევრად უფრო მაღალ მასშტაბებს აღწევს, რადგან დაცულია ადგილობრივი წარმოება, შესაბამისად ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

ამ ეტაპზე, მივიჩნევ, რომ წარმოების დასაცავად იმპორტის გადასახადი აგრო პროდუქტებზე ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს და მოხდეს ასევე წარმოების იმ დარგების დაზუსტება, სადაც საჭიროა დამატებით დაწესება მსგავსი საგადასახადო შეზღუდვების, რათა ადგილობრივი მწარმოებლები და დასაქმებულები იყვნენ მეტად დაცულები და მხარდაჭერილები სახელმწიფოს მხრიდან. თავისუფალი ვაჭრობა მისაღებია მაშინ, როდესაც ის აუმჯობესებს ქვეყნის მდგომარეობას და არა მაშინ, თუ უბრალოდ თავისუფალ ბაზარს მივიჩნევთ უალტერნატივოდ, მიუხედავად ეკონომიკურ ექსპანსიის საფრთხეებისა ადგილობრივი მწარმოებლების დაუცველობისა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა

[25] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (Nace. Rev.2) მიხედვით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/new/08%20dasaqmeba-%20nace2.xlsx

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შედეგად, რომ მოქალაქეების კეთილდღეობა იზრდება, უდავოა, თუმცა არსებობს ვარიაციების რის შედეგადაც მეტ-ნაკლებად ისახება ეს თითეული მოქალაქის გამდიდრებაზე.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ნიშნავს ქვეყანაში მცხოვრები პირების ფართო ჩართულობას ამ პროცესში, რითაც არამხოლოდ მსხვილი, არამედ უპირატესად მცირე და საშუალო ბიზნესი ვითარდება, რითაც უფრო მეტი ადამიანის კეთილდღეობა უმჯობესდება. ამისათვის საჭიროა განვითარება მოხდეს იმ სექტორში, სადაც მეტად არიან დასაქმებულები ღარიბები[26] (UNDP-ს ანგარიში), რათა სიმდიდრე ზრდასთან ერთად გადანაწილდეს ღარიბ ფენებზე, რითაც უთანასწორობის მაჩვენებელი შემცირდება. ეს კი საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სექტორია.

აგრო სექტორში, 2017 წლის მონაცემებით სამუშაო ძალის 39,1%[27]-ია დასაქმებული, ამ რიცხვით და წილით კარგად ჩანს, რომ ამ სექტორის ამუშავება და სათანადო მხარდაჭერა ეკონომიკური განვითარების, მათ შორის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საწინდარია.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ აგრო სექტორით შევძლებთ განვითარებას, რადგან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ამ სექტორის წილი რამდენიმე პროცენტს ვერ ცდება. აგრო სექტორის მხარდაჭერა უნდა მოხდეს გარდამავალ პერიოდში, მინიმუმ მანამ, სანამ სიღარიბე არ აღმოიფხვრება, რომელიც ბოლო წლების განმავლობაშიც ვერ აღმოიფხვრა და დღესაც, ქვეყანაში ყოველი მეხუთე და მეტი მოქალაქე სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმაა, ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია სოფლის დასახლებებში სადაც 23,1%-ს შეადგენს, ქალაქის შემთხვევაში ეს 18%-ია, ქვეყნის მასშტაბით კი 20,1%.[28]

---

[26] T.Palanivel. 2011. Consultation on Conceptualizing Inclusive Growth, UNDP report.

[27] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (Nace. Rev.2) მიხედვით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/new/08%20dasaqmeba-%20nace2.xlsx

[28] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სიღარიბის მაჩვენებლები (2018 წლის წლიური). https://geostat.ge/media/24110/Sigaribis-machveneblebi_2018.xls .საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



ამ მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად საერთო ცუდი მდგომარეობისა, სოფლად მცხოვრები, აგრო სექტორში ჩართული მოსახლეობა კიდევ უფრო ღარიბია, აქედან გამომდინარე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და შეიძლება სასიცოხლო მნიშვნელობისაც კი იყოს.

მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევა ამავე სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით: კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში მონაწილე კანდიდატი კომპანიების რაოდენობა შეადგენდა 43 კომპანიას, თუმცა დაბალი ჩართულობის გამო, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი მწარმოებლების 14-მა წარმომადეგენელმა.

კვლევითი სამუშაოები ჩატარდა ონლაინ გამოკითხვის ფორმით, კვლევის კითხვარი მათ დაეგზავნათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით და დამატებით მოხდა სატელეფონო კომუნიკაცია.

კითხვარის შევსებისას კონფიდენციალობის დაცვის და სანდოობის მაღალი ხარისხის მიღების მიზნით კომპანიებს ჰქონდათ არჩევანი, გაევლოთ იდენტიფიკაცია კომპანიის სახელით და სექტორით, ან მხოლოდ სექტორით, რომელშიც ამჟამად საქმიანობენ. იდენტიფიკაცია კომპანიის სახელით მოახდინა მხოლოდ 1-მა მონაწილემ, დანარჩენმა 13-მა პირმა, მიუთითა მხოლოდ სექტორი/პროდუქტი, რომელშიც საქმიანობს/აწარმოებს.

მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელმა კომპანიამ, სე სექტორებია:

რძის პროდუქტების წარმოება - 3 ბენეფიციარი;

კენკრის მოშენება/წარმოება - 2 ბენეფიციარი (მათ შორის 1 ჟოლოს);

ხორცპროდუქტების წარმოება - 2 ბენეფიციარი;

ჩირის წარმოება - 1 ბენეფიციარი;

ლიმონათის წარმოება - 1 ბენეფიციარი;

თაფლისა და მსგავსი პროდუქტების წარმოება - 1 ბენეფიციარი;

ალკოჰოლური სასმელების წარმოება - 1 ბენეფიციარი;

სათევზე მეურნეობა - 1 ბენეფიციარი;

შესაფუთი მასალების წარმოება - 1 ბენეფიციარი;

ჩირის წარმოება - 1 ბენეფიციარი.

კვლევაში მონაწილე პირების მიმართ დასმულ იქნა შეკითხვები სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც მათი მხრიდან უნდა ყოფილიყო პასუხგაცემული/ შეფასებული:

- სახელმწიფო სერვისების
- სახელმწიფოს დახმარების როლი მცირე და საშუალო ბიზნესში
- პრივატიზაცია
- საგადასახადო სისტემა
- საკუთრების უფლების დაცულობა
- თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები.

კითხვარში კითხვების ოდენობა შეადგენდა 17-ს. 1-ლი შეკითხვა წარმოადგენდა კომპანიის სექტორის დადგენას, კომპანიის მხრიდან იდენტიფიკაციის სურვილის შემთხვევაში ასევე კომპანიის სახელის დაზუსტებას.

კითხვების ნაწილი იყო სრულად დახურულბოლობიანი, ასევე იყო რამდენიმე ღია კითხვა სავარაუდო პასუხებით და განსხვავებული აზრის შემთხვევაში, საკუთარი პასუხის დაფიქსირების საშუალებით.

მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევა ამავე სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით: კვლევის შედეგები და ინტერპრეტაცია

კვლევის შედეგად, მთელ რიგ საკითხებზე გამოიკვეთა, ბიზნეს-სექტორის პოზიციები, ზოგ შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობაა, რიგ საკითხებზე კი ძირითადად უმრავლესობის საერთო პოზიცია.

პრივატიზაციის საკითხზე, გამოკითხულთა 50% მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ უსასყიდლოდ უნდა დაურეგისტრიროს ფერმერებს ის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები[29] რომლებსაც ისინი წლების განმავლობაში უვლიდნენ, ამუშავებდნენ და სარგებელს იღებდნენ. აქედან უფრო მეტად მხარს უჭერენ ის ბიზნესები მოქალაქეთა ფლობაში ნაკვეთების უსასყიდლოდ გადასვლასა და მხოლოდ მოქალაქეებისთვის ფლობას ის ბიზნესები, ვისთვისაც ეს სტრატეგიული მნიშვნელობისაა: რძის პროდუქტების მწარმოებლები და კენკრის მოშენების ბიზნესში ჩართული ფერმერები.

1/3-ზე ცოტა მეტს, 35.7%-ს სახელმწიფოს მხრიდან ქონების ქონა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონედ მიაჩნია და კვლავ მის მფლობელობაში დარჩენას ამჯობინებს. განსხვავებული პოზიცია აქვს მხოლოდ 2 გამოკითხულ პირს, ისინი პრიორიტეტულად თანასწორ პირობებში ჩაყენებას თვლიან და პრივატიაციას მაღალი ფასის პრინციპით ემხრობიან.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების კერძო საკუთრებაში ქონას, ამ შემთხვევაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირისთვის, თუნდაც არამოქალაქისთვის მხარს უჭერს 21.4%. 64% ფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფლობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პრივილეგია უნდა იყოს. მათ შორის იჯარის უფლებას ემხრობა 28.6%, ხოლო 14.3%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ეფექტურობას სრულად დადებითად მხოლოდ მცირე ნაწილი აფასებს, საკმაოდ დიდ ნაწილს კი პასუხის გაცემა ამასთან დაკავშირებით, უჭირს.

[29] სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი ადგილი. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ონლაინ-ლექსიკონი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=161393

სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ფორმით მეწარმეებისთვის მხარდაჭერას ეთანხმება გამოკითხულთა 86%, მხოლოდ 14%-ს სურს სახელმწიფოს როლი მინიმალური იყოს, არ ჩაერიოს ბიზნესის განვითარებაში.

ფინანსურ მხარდაჭერა პრიორეტეტების სამეულში შეყავს მეწარმეთა უდიდეს ნაწილს, რაც ამ კითხვარში არსებულ პასუხებს შორის ყველაზე კონსესური ნაწილია.

საგადასახადო რეჟიმთან მიმართებით მეწარმეთა დამოკიდებულება პოზიტიურია, თითქმის 43% მიიჩნევს, რომ საგადასახადო განაკვეთები მისაღებია და ცვლილებას არ საჭიროებს

დამატებითი რეგულაციების დაწესებაზე წუხს მეწარმეთა 78.5%, საერთო ჯამში კი 35% მიიჩნევს, რომ რეგულაციები ადგილობრივ წარმოებაზე წესდება, რითაც იმპორტიორი პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება.

ყველაზე დაყოფილი მეწარმეთა აზრი, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებითაა, სადაც პასუხები თითქმის თანაბრად ნაწილდება, თუმცა მისი საკუთრების უფლების დაცულობის მხოლოდ 21.4%-ს სჯერა, რაც საკმაოდ დაბალი და ცუდი მაჩვენებელია.

სახელმწიფო მხრიდან, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის მიმღებია 35.7%, ამდენივე კი იმედგაცრუებულია, რადგან მოთხოვნის მიუხედავად, სახელმწიფო მათ არ/ვერ დაეხმარა.

საერთო მასშტაბით, სახელმწიფოსგან ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერას 7-10 ქულით აფასებს გამოკითხულთა 57,1%, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, სახელმწიფოს მხრიდან მეტი რესურსის მიმართვის ფონზე.

ადგილობრივი მეწარმეების მთავარ გამოწვევად მეწარმეთა 29% იმპორტიორების მხრიდან წნეხს ასახელებს, ამდენივე კი არ მიიჩნევს სერიოზულად არსევულ გამოწვევებს. 1-მა გამოკითხულმა, ამასთან დაკავშირებით, საკუთარი პასუხი დააფიქსირა და გამოხატა, რომ სირთულე წარმოებული პროდუქციის გასაღებაა.

საბოლოო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მწარმოებლების უმეტესობას სურს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, უპირობოდ და ყოველმხრიც, თუმცა პრაგმატული ბიზნესები მხოლოდ იმ საკითხებში ითხოვენ სახელმწიფოს დახმარებას, რაც მათ შესაძლებლობებს მიღმაა.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის (2016-2020) ანალიზისას გამოიკვეთა, რომ არსებული 5 კომპონენტიდან 2-ს შესრულებაში ხელისუფლებას დიდი გამოწვევები აქვს, ეს კომპონენტებია:

სამართლებრივ-ინსტიტუციური კომპონენტის ოპტიმიზაციის შეფერხება - დროში იწელება ასამოქმედებელი საკანონმდებლო აქტების განხილვა და მიღება პარლამენტის მიერ, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანის - გადახდისუუნარობის შესახებ კანონმდებლობის მოლოდინის რეჟიმში ყოფნა. ამ კომპონენტს მთავარ ჩავარდნად აფასებს Doing Business[30], რადგან საქართველოს გადახდისუუნარობის მოძველებული კანონმდებლობა აქვს.

მეორე პრობლემურ კომპონენტად მიიჩნევა ინოვაციების და მიდი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის კომპონენტი, რომლის მიმართულებით მხოლოდ საკონსულტაციო ტრენინგები ტარდება და მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურული განვითარება ხდება, რაც არასაკმარისია.

BDO-ს მხრიდან დეტალურადაა შეფასებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოშის“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის, ტექნიკური მხარდაჭერისა და ინდუსტრიული კომპონენტები. მიუხედავად იმისა, რომ პროექტს დადებითი ეფექტი აქვს ეკონომიკაზე, ვიწრორეგიონულად და ვიწროსექტორულად ვითარდება, ინოვაციების დაფინანსების ნაცვლად, კარგად გამოცდილ ლოკალურ ბიზნესებს აფინანსებს და ძირითადად, მხოლოდ თბილისსა და მის შემოგარენში. ასევეუნდა აღინიშნოს პროგრამის მიერ განხორციელებული დასაქმებულთა ზრდა, რაც სხვა შეფასების პარამეტრებს შორის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს იძლევა.

კონრად ადენაუერის ფონდის კვლევა, რომელიც მიმოვიხილე, ჯამში 30-მდე სხვადასხვა კვლევას აერთიანებს და წარმატებული ბიზნეს გეგმების უფასო სახელმძღვანელოდ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან რამდენიმე რეგიონის ჭრილში ბიზნესის კონკრეტულ განვითარების პერსპექტივებს სახავს. სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანი უნდა იყოს ამ კვლევების ნაერთის

[30] http://www.doingbusiness.org/en/data/exploreeconomies/georgia

კონკრეტულ რეგიონებში ინფორმაციის სახით გავრცელებაა და შემდგომში მათი სულ ცოტა საკონსულტაციო მხარდაჭერის განხორციელება.

სამელიორაციო სამუშაოებში არსებული პროგრესი უნდა შენარჩუნდეს და რამდენიმე წლის განმავლობაში, თავისუფლად შეიძლება ძირითადი და მასშტაბური სადრენაჟო-საირიგაციო სამუშაოების დასრულება, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოპულისტური საბიუჯეტო პროგრამების ოპტიმიზაციის ხარჯზე.

ამავე სამინისტროს მხარდაჭერით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემომყვანი პროგრამები უნდა განახლდეს, რადგან ამ ტექნიკის უმეტესობას ექსპლუატაციის ვადა გასული აქვს, ელემენტარული ტექნიკური მხარდაჭერის გარეშე, კი როდესაც საკმარისი გამართული ტრაქტორების საკმარისი ოდენობა არ გვყავს ქვეყანაში, ტექნოლოგიურ პროგრესს ძალიან ჩამოვრჩებით.

ტექნიკური მხარდაჭერის გარდა მასშტაბის ეკონომიის შეძლებისდაგვარად მისაღწევად, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან სწრაფი პრივატიზაცია და მეწარმეთა ხელში ნაკვეთების გამსხვილების მხარდაჭერა. ამის საუკეთესო გზა ფერმერებისთვის პრაქტიკულ ფლობაში მყოფი ნაკვეთების ოფიციალურად, უსასყიდლოდ დარეგისტრირებაა.

აგრო წარმოების მხარდასაჭერად მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ პირდაპირი პროტექციონისტული ნაბიჯები უნდა გადადგას და სხვა სექტორებიც ჩართოს, რათა ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა მეტად რეალური და ხელშესახები იყოს. ეს ხელს შეუწყობს ბიზნესმენებსა და ინვესტორებს, მეტად თამამები იყვნენ ინვესტიციის განხორციელებაში და იმპორტიორებისგან დემპინგური თავდასხმის შიში არ ჰქონდეთ.

პრაგმატული ეკონომიკური განხორციელება, კვლავ სახელმწიფოს პრეროგატივაა, რადგან როგორც ბიზნეს სუბიექტებთან კვლევითი ურთიერთობითა და მათი პასუხებით შევიტყე, ისინი ნაკლებად უწყობენ ფეხს ტექნოლოგიებს და მათი მხრიდან არ უნდა ველოდეთ, მოკლევადიან პერიოდში, ინოვაციებისადმი სწრაფვას. მათი დიდი

ნაწილი ნებისმიერ კვლევაში ჩართვაზე, მათ შორის ჩემს კვლევაში ჩართვაზე უარს აცხადებდა, დროის უქონლობისა და თუ უსაფუძვლო შიშების გამო.

ფაქტია, რომ მცირე ბიზნესსაც კი არ სურს საკუთარი თავის იდენტიფიკიაცია, სახელმწიფოს/მთავრობის შესახებ კითხვებზე პასუხისას, რაც ჩემი აზრით, ბიზნესის მიმართებით არსებულ შესაძლო წნეხზე მიუთითებს.

კვლევამ, პირველ რიგში, მიჩვენა, რომ ადგილობრივ მწარმოებლების დიდ ნაწილს მხარდაჭერა ესაჭიროება სახელმწიფოსგან, მათ შორის ხშირად, ფინანსური სახის. ამ მიმართულებით განხორციელებული იყო სესხის პროცენტის თანადაფინანსების რამდენიმე პროგრამა. სახელმწიფომ კვლავ უნდა აამოქმედოს მსგავსი სახელმწიფო პროგრამა მეწარმეთათვის და ასევე მიზანშეწონილი იქნება, რესტრუქტურიზებული ბიზნეს-სესხების ფინანსურ მხარდაჭერაში მიიღოს მონაწილეობა.

მეწარმეთა პასუხებმა ასევე დამარწმუნა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ფლობა, მათთვის პრიორიტეტული მიმართულებაა, თუმცა, მათ ვერ დავეთანხმები, უმრავლესობის აზრის სრულ მხარდაჭერაში:

მიწის ნაკვეთი, რომელსაც არავინ ამუშავებს, უნდა გაიყიდოს აუქციონის წესით, საკუთრების უფლება კი არამოქალაქესაც უნდა ჰქონდეს. სასოფლო-სამეურნეო მიწებში უნდა განხორციელდეს ინვესტიციები, ეს არაა ის სტრატეგიული აქტივი, რაც უნდა შევინახოთ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული მკვეთრი პოზიცია, რომ მხოლოდ მოქალაქეების მართვა/მფლობელობაში უნდა იყოს ეს ქონება, იმ მეწარმეებისგან მეტად გამოიკვეთა, რომლებიც მეტად საჭიროებენ ამ აქტივს და საკუთარი, კერძო ინტერესიდან გამოდიან, თუმცა, სახელმწიფომ მსგავსი სწორხაზოვნება არ უნდა გამოიჩინოს.

საბოლოო ჯამში, მივიჩნევ რომ სახელმწიფო ცდილობს საკუთარი როლით პოზიტიური გავლენა მოახდინოს ადგილობრივი წარმოების განვითარებაში, თუმცა, მიმაჩნია რომ მეტი რესურსი გამოყოფაა შესაძლებელი მეწარმეთა ფინანსური მხარდაჭერისა და მწარმოებელთა, მათ შორის ფერმერთა ინფრასტრუქტურის

განვითარებისთვის. ამავე დროს, არის დაბრკოლებები, რომლებსაც გვიქმნის სავაჭრო ხელშეკრულებები, რომლებიც, სახელმწიფოს მხრიდან პოზიციების პრინციპულად დაცვის შემთხვევაში, არ შეაფერხებს პროტექციონისტულ პოლიტიკას და შევძლებთ განვავითაროთ ადგილობრივი წარმოება, შევამციროთ ბოლო წლების ემიგრაციული ზრდის ტენდენცია, მეწარმეები დასაქმდნენ და დაასაქმონ თანამოქალაქეები, აქ ამ ქვეყანაში, მათ გვერდით.

მე მივიჩნევ, რომ გრძელვადიან პერიოდში, ამ კომპლექსური ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, განვავითარებთ ადგილობრივ წარმოებას, შემცირდება საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი კი პირდაპირ ჰპოვებს ასახვას თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

ბიბლიოგრაფია

- Ethier, Wilfred. 2014. Floating World, The: Issues In International Trade Theory. World Scientific Studies in International Economics. Singapore: World Scientific. http://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=nlebk&AN=787891&site=ehost-live. (14.05.2019)
- Hundloe, T. J. A., Commonwealth Scientific and Industrial Research Organization (Australia), Sarah Blagrove, and Hannah Ditton. 2016. Australia's Role in Feeding the World : The Future of Australian Agriculture. Clayton South, VIC: CSIRO PUBLISHING. http://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=nlebk&AN=1290499&site=ehost-live. (14.05.2019)
- European Union. Small Business Act for Europe. https://ec.europa.eu/growth/smes/business-friendly-environment/small-business-act_en. European Union. (14.05.2019)
- T.Palanivel. 2011. Consultation on Conceptualizing Inclusive Growth, UNDP report. (17.05.2019)
- დე სენარკლენი, პიერ და იოან არიფენი, 2014. *საერთაშორისო პოლიტიკა.* მთარგმნ. ნ. ცქიტიშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
- სმითი, ადამ, 2014. *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II.* მთარგმნ. ფ. გოგიჩაიშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. 2018, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy_annual_report_2018_geo_.pdf (11.04.2019)

- კონრად ადენაუერის ფონდი, მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. http://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/DCFTA%20for%20SMEs_web-min.pdf (11.04.2019)
- BDO საქართველო. პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის შეფასება, აწარმოე საქართველოში. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf (11.04.2019)
- საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული წახალისების კომპონენტის შეფასების ანგარიში. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1606090634585baa.pdf (11.04.2019)
- საქართველოს ეროვნული ბანკი. მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება. საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/uploads/fin_ganatl_mewarm/mikroda_mcire.pdf (09.05.2019)
- საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური განათლება მეწარმეებისთვის https://www.nbg.gov.ge/index.php?m=706. საქართველოს ეროვნული ბანკი (09.05.2019)
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში 2018. http://gncc.ge/uploads/other/3/3706.pdf . საქართველო კომუნიკაციების ეროვნული კომისია
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეროვნული შემოსავალი და სხვა აგრეგატები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/erovnuli%20Semosavali%20da%20sxva%20agregatebi.xlsx (11.04.2019)

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (Nace. Rev.2) მიხედვით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/new/08%20dasaqmeba-%20nace2.xlsx (11.04.2019)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სიღარიბის მაჩვენებლები (2018 წლის წლიური). https://geostat.ge/media/24110/Sigaribis-machveneblebi_2018.xls .საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2017. საქართველოს ეროვნული ბანკი. https://www.nbg.gov.ge/uploads/bop/bop_2017_geo_publish.pdf (11.04.2019)
- საქართველოს მელიორაცია. სამელიორაციო სამუშაოების მიმდინარე შედეგები. საქართველოს მელიორაცია. (17.05.2019) http://ag.ge/Ge/Statistic
- საქართველოს მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/tavisufali_vachrobis_shetanxmeba_georgia_china/shetankhmeba_2018/1_china_georgia_fta_geo.pdf (11.04.2019)
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრი. რეგულირების გავლენის შეფასება (პრაქტიკული სახელმძღვანელო). თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართის ეროვნული ცენტრი. http://nccl.ge/m/u/ck/files/RIA%20GUIDELINE%20final(1).pdf (18.04.2019)

დანართები

კვლევის კითხვარი

1. გთხოვთ შეიყვანოთ თქვენი კომპანიის დასახელება და სექტორი, ან მხოლოდ სექტორი, თუ არ გსურთ იდენტიფიკაცია
2. როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ადგილობრივი წარმოების განვითარებაში ?
3. თქვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები უნდა გადაეცემოდეს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს კერძო საკუთრებაში ?
4. მხარს უჭერთ თუ არა სახელმწიფო ქონების პრივატიცაზიას?
5. რას ფიქრობთ, საქართველოს მიერ გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე, მათ შორის ევროკავშირსა და ჩინეთთან ?
6. ადგილობრივი წარმოებას, რომელ ასპექტებში უნდა ეხმარებოდეს, უფრო მეტად, სახელმწიფო
7. გისარგებლიათ თუ არა ბიზნესისთვის სახელმწიფოს მხარდაჭერით?
8. როგორ შეაფასებდით, საგადასახადო ტვირთს (გადახადების განაკვეთებს) ბიზნესისთვის ?
9. სახელმწიფო პროგრამების საშუალებით დახმარების გარდა, მეწარმეებს უნდა შესთავაზოს თუ არა ქვეყანამ კონკრეტული წარმოების სექტორები და ბიზნეს-გეგმები
10. როგორ ფიქრობთ, რამდენად დაცულია საკუთრების უფლება ქვეყანაში ?
11. ზღუდავს თუ არა წარმოების განვითარებას სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციები ?
12. რომელია ადგილობრივი მეწარმეების მთავარი გამოწვევა ?
13. რამდენი ქულით შეაფასებდით ბიზნესისთვის სახელმწიფო სერვისების (იუსტიციის სახლი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და ა.შ.)

მიწოდების ხარისხს ? (გთხოვთ შეაფასოთ 10 ბალიანი სისტემით, სადაც 1 ნიშნავს ძალიან ცუდს, 10 შესანიშნავს.)

14. როგორ ფიქრობთ, შეცვალა თუ არა ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწესებულმა ახალმა საბანკო რეგულაციებმა ?
15. გსმენიათ თუ არა და თუ გსმენიათ, როგორ შეაფასებდით სახელმწიფო პროექტის, „აწარმოე საქართველოშის“ ეფექტიანობას ?
16. თქვენი აზრით, ესტონური მოდელის დანერგვამ, რეინვესტირების შემთხვევაში მოგების არდაბეგვრა(მ), იმოქმედა/იმოქმედებს თუ არა ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე ?
17. საბოლოო ჯამში, როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მხარდაჭერას ადგილობრივი წარმოებისთვის?შეაფასეთ 10 ბალიანი შკალით. (სადაც 1 - ნიშნავს საერთოდ არ ეხმარება, 10 - ნიშნავს, მაქსიმალურად უჭერს მხარს)

კვლევის შედეგები (დიაგრამები)

პირველი კითხვისას ხდებოდა სექტორის/კომპანიის იდენტიფიკაცია, შესაბამისად ამ კითხვაზე პასუხები არაა მითითებული , კონფიდენციალობის გამო

2. როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ადგილობრივი წარმოების განვითარებაში ?

14 responses



3. თქვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები უნდა გადაეცემოდეს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს კერძო საკუთრებაში ?

14 responses



4. მხარს უჭერთ თუ არა სახელმწიფო ქონების პრივატიცაზიას?

14 responses



5. რას ფიქრობთ, საქართველოს მიერ გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე, მათ შორის ევროკავშირსა და ჩინეთთან ?

14 responses



6. ადგილობრივი წარმოებას, რომელ ასპექტებში უნდა ეხმარებოდეს, უფრო მეტად, სახელმწიფო (მონიშნეთ მაქსიმუმ 3 ვარიანტი):

14 responses



7. გისარგებლიათ თუ არა ბიზნესისთვის სახელმწიფოს მხარდაჭერით?

14 responses



8.როგორ შეაფასებდით, საგადასახადო ტვირთს (გადახადების განაკვეთებს) ბიზნესისთვის ?

14 responses



9. სახელმწიფო პროგრამების საშუალებით დახმარების გარდა, მეწარმეებს უნდა შესთავაზოს თუ არა ...ის სექტორები და ბიზნეს-გეგმები ?

14 responses



10. როგორ ფიქრობთ, რამდენად დაცულია საკუთრების უფლება ქვეყანაში ?

14 responses



11. ზღუდავს თუ არა წარმოების განვითარებას სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციები ?

14 responses



12. რომელია ადგილობრივი მეწარმეების მთავარი გამოწვევა ?

14 responses



13.რამდენი ქულით შეაფასებდით ბიზნესისთვის სახელმწიფო სერვისების (იუსტიციის სახლი, სახელ...ავს ძალიან ცუდს, 10 შესანიშნავს.)
14 responses



13.რამდენი ქულით შეაფასებდით ბიზნესისთვის სახელმწიფო სერვისების (იუსტიციის სახლი, სახელ...ავს ძალიან ცუდს, 10 შესანიშნავს.)
14 responses



14. როგორ ფიქრობთ, შეცვალა თუ არა ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა 2019 წლის 1 იანვრ...მა ახალმა საბანკო რეგულაციებმა ?

14 responses



15. გსმენიათ თუ არა და თუ გსმენიათ, როგორ შეაფასებდით სახელმწიფო პროექტის, „აწარმოე საქართველოშის“ ეფექტიანობას ?

14 responses



16. თქვენი აზრით, ესტონური მოდელის დანერგვამ, რეინვესტირების შემთხვევაში მოგების არდაბეგვრა(მ)...ობრივი წარმოების განვითარებაზე ?

14 responses



17.საბოლოო ჯამში, როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მხარდაჭერას ადგილობრივი წარმოებისთვის?შეაფას...ნავს, მაქსიმალურად უჭერს მხარს)

14 responses



17.საბოლოო ჯამში, როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მხარდაჭერას ადგილობრივი წარმოებისთვის?შეაფას...ნავს, მაქსიმალურად უჭერს მხარს)

14 responses